საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასპარაშენი

ასპარაშენი, ციხესიმაგრე ისტორიულ სამხრ. საქართველოში, ტაოს პროვინციის იშხანის მხარეში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). მდებარეობს ოლთისისწყლის (ახლანდ. ოლთუჩაი) მარჯვ. მხარეს, სოფ. იშხნიდან ჩრდ.-აღმ-ით. 1917, ე. თაყაიშვილის თურქეთში მოგზაურობის დროს, ციხე ძლიერ დანგრეული ყოფილა. ა. პირველად იხსენიება 1289, როცა დემეტრე II-მ „ყრმა მცირე გიორგი [V (გიორგი ბრწყინვალე)] წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს...“ უკანასკნელად ა. გვხვდება XV–XVI სს-ით დათარიღებულ წერილში. ამ დროს ის სამცხის ათაბაგთა ხელში იყო. 1549–50 წლებში ტაო დაიპყრეს ოსმალებმა და, როგორც ჩანს, ა. მათ ხელში გადავიდა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

ა. თოდრია